პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ. ყოველ დღე
რედაქც. მისამართი:
სახ. სამხ. კ-ს შენ. პირ. სართ. რუსთაველის პრ. № 31

კვირა 11 თებერვალი
1923 წ.
წელიწადი მესამე

№ 212 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 212

მსოფლიო ყაჩაღების სოციალ-ლაქიები.

ჩვენ ყველამ ვიცით რა მიზნით შეიჭრა გერმანიის ტერიტორიაზე საფრანგეთის იმპერიალიზმი. მას სურს ხელთ იგდოს მთელი გერმანია მისი ვებერთელა ტეხნიკურად განვითარებული ქარხნებით, მაღაროებით და ამით გახდეს მთელი ქვეყნის ბატონ მბრძანებელი. თავის მიზნების განსახორციელებლად ის მიმართავს ყოველგვარ ზომებს. ამბოხებულ გერმანიის პროლეტარიატს ის უმასპინძლდება თოფ-ზარბაზნებით, ციხეებით, დაპატიმრებით, ის ანგრევს ხიდებს და ანადგურებს რკინის გზებს, რათა გერმანიაში არ გავიდეს არც ერთი გირვანქა ქვანახშირი. ყოველივე ამას როგორც ვიცით მოჰყვა გერმანიის მსხვილი მრეწველობის და მეურნეობის სრული დამხობა, რაც მძიმედ დააწვა კისერზე გერმანიის მუშათა კლასს, რომელიც ქედსაც არ იხრის ოკუპანტების წინაშე და მედგრად იბრძვის.

ამ კრიტიკულ მომენტში მას გვერდში უდგია გერმანიის და საფრანგეთის კომუნისტური პარტიები. ისინი ყოველივე ფეხის ნაბიჯზე ნიღაბს ხდიან საფრანგეთის მადაგახსნილ იმპერიალისტებს და მოუწოდებენ ყველა ქვეყნის მშრომელებს მთლიანი ფრონტისაკენ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეხლა ვიკითხოთ სად არიან ამ დროს მეორე ინტერნაციონალის ვაჟბატონები, რომლებიც თავის თავს სთვლიან მუშათა კლასის მედროშეთ? რას ფიქრობენ ისინი! იცავენ თუ არა ამ გაჭირვებულ დროს გერმანიის პროლეტარიატს?

ამის საუკეთესო პასუხს იძლევა თვით მეორე ინტერნაციონალის „სახელოვანი" ბელადი, ბელგიის მეფის მონა-მორჩილი ბ-ნი ვანდერველდე, რომელმაც თავის ვრცელ სიტყვაში განაცხადა „როგორც ერთი კაცი ჩვენ მხარს უჭერთ იმას, რომ ჩვენი უფლება ვალების მიღებაზე ისე წმინდაა, როგორც იტალიის და საფრანგეთის უფლება და ეს ვალები გერმანიამ უნდა გადაიხადოს. არ არის უფრო მძიმე პასუხისმგებლობა, ვიდრე გერმანიის მთავრობის პასუხისმგებლობა. გერმანიის მსხვილი მრეწველობა ე. წ. მძიმე მრეწველობა მუდამ წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობიანობისათვის" მოუსმინოთ მეორე ვაჟბატონსაც, „სახელოვან" ყვითელ ინტერნაციონალიდან ჟორჟ-გუბენს, რომელიც ამბობს: „მე სავსებით ვეთანხმები ვანდერველდეს მიერ პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვას, მე ვწუხვარ რომ გაზ. „ფორვერტსი" ურჩევს რურის ოლქის მუშებს გამოაცხადონ საპროტესტო გაფიცვა („ნახევარი საათის გაფიცვა).

კიდევ მრავალი შეგვიძლია მოუთხროთ ამდაგვარი მუშათა კლასისათვის „სასარგებლოთ" წარმოთქმული სიტყვები, ყვითელ ინტერნაციონალის ლიდერების მიერ მაგრამ ესეც საკმარისია, რომ მუშათა კლასმა თვალი გაახილოს და დაინახოს, რომ ეს ვაჟბატონები არა თუ ეხმარებიან მუშათა კლასს თავის ბრძოლაში იმპერიალისტების წინააღმდეგ, არამედ პირიქით ტაშს უკრავენ საფრანგეთის ბანკირების მტაცებლურ პოლიტიკას და სურთ კიდევ გაადვივონ ეროვნული შუღლი და მტრობა გერმანიის და ბელგიის მუშათა კლასის შორის და ჩაშალონ პროლეტარიატის მთლიანი ფრონტი.

მაგრამ ჩვენ სრული სიმშვიდით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მათი ცდები პროლეტარიატის მოტყუებაზე უნაყოფოთ ჩაივლის და დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი „გაერთიანებული ფრონტით ჩასცემს სასიკვდილო ლახვარს არა მარტო ევროპის იმპერიალიზმს, არამედ მის მონა მორჩილს მუშათა კლასის გამცემლებს მეორე ინტერნაციონალის დაბონძილ ხროვას.

პრესის მიმოხილვა

საქართველოს მშრომელი გლეხობის დიდი ნაწილი იმდენად წავიდა წინ ამ ათი წლის განმავლობაში, რომ მან ყოველდღიური დაკვირვებით იცის, ვის ინტერესებს, იცავს და ემსახურება სამღვდელოება.

ყველა მღვდლის ბუნება ერთია, მას მხოლოდ იმისთვის უნდა დიდი მრევლი რომ ჯიბე გაისქელოს, ერთი სიტყვით მღვდელი ყოველგან სიხარბით და გაუმაძღრობით განთქმულია. აი რას სწერს გაზ. „მიწის მუშა" მღვდლების ოინბაზობაზე.

„მაშინ როდესაც მიწის მუშა ტყესა და მინდვრებს ებრძვის, რომ თავის ოფლით ერთი ლუკმა პური იშოვოს, რომ ხშირად დიდი ოჯახის პატრონმა წლის სარჩო შეიტანოს სახლში, მღვდლები ხოჭელებში ფეხი-ფეხ გადადებული ხიან განცხრომით და მუქთა ხოროშით ატარებენ დღეებს... საცხოვრებელი, სარჩო საზრდებელი მათ სულ ყველა მუქთად და უშრომლად მოსდით...

როგორც ვაჭარს აცხოვრებს დუქანი, მისი დახლი, ისე მღვდელს ეკლესია.

ქვევით გაზეთი განაგრძობს:

„ჩვენში არიან ბევრი ისეთი მღვდლები, რომელთაც თვითონ არ სწამთ არც ღმერთი და არც ეკლესია—მარხვაში ხორცსა სჭამენ ცუდი ზნეობისანი, ავი და ბოროტი, არიან მაგრამ გლეხობა მაინც ვერას გამხდარა მათთან და ხშირად მათი მონა-მორჩილია".

ასე ამ რიგათ მღვდლები, როგორც სოფლად ისე ქალაქშიაც ყოფილა ჩვენი ცხოვრების ზედმეტი ბარგი. ისინი ჩვენ ხელში მხოლოდ სულ ბნელის მთესველნი არიან. ისინი ყოველთვის ამის ცდაში იყვნენ, რომ არ გამოფხიზლებულიყო მშრომელი გლეხობა და არ გაეგო ავი და კარგი.

ამისთვის სამღვდელოებასთან საჭიროა დაუნდობელი და მედგარი ბრძოლა! მშრომელო გლეხობავ! თვალი გაახილეთ და შეიგნეთ, რომ სამღვდელოება არის, მხოლოდ საზოგადოების პარაზიტი ნაწილი, გლეხობის სისხლის მწოველი. ამისათვის ჩვენი გლეხობა ამას სიფხიზლით უნდა მოეკიდოს.

23 თებერვალი ახლოვდება. ეს კი წითელი არმიის ხუთი წლის შესრულების თავია. ამ დღისათვის არსებობის დღესასწაულის გარდა უნდა შეყენებული იქნეს ჯამი რაც გაკეთდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მხრივ. ამაზე გაზ. „კრასნი ვოინი" სწერს.

„ყურადღებით უნდა მოვეპყრათ წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას ჩვენს არმიაში. ამ მხრივ უნდა ვმსჯელობდეთ საერთო გამოცდილებით პრესამ უნდა აღნიშნოს ის გმირები რომლებიც ამ ასპარეზზე მუშაობდენ, არა შიშის ძალით არამედ მოვალეობის შეგნებით! უნდა პასუხი მოეთხოვოთ იმათ, ვინც ამ საქმეს ხელს უშლიდა".

და მართლად ახლოა 23 თებერვალი. ვემზადოთ ყველა ამ დღისათვის.



— ბელგიელები უკმაყოფილო არიან რურში ფრანგების მოქმედების მეთოდებით.

— მდგომარეობა რურის რკინის გზებზე არ უმჯობესდება.

— ფრანგების საოკუპაციო ჯარები იკავებენ ახალ პუნქტებს.

— ქემალ ფაშამ განაცხადა, რომ ანტანტა ადგენდა ისეთ მოთხოვნილებებს ლოზანის კონფერენციაზე, რომელიც ფეხქვეშ სთელავდა ოსმალეთის დამოუკიდებლობას.

— ქემალ-ფაშა გამოდის ქალთა სწორუფლებიანობის დამცველად ოსმალეთში.

რურის ოლქის ოკუპაცია

ოკუპანტების წინსვლა.

— 8 თებერვალს ფრანგები შევიდენ ბადენის ოლქში და დაიჭირეს ორი გერმანიის პუნქტი.

პირველი გამარჯვება.

— კელნიდან იტყობინებიან, რომ 8 თებერვალს ფრანგებმა პირველათ შესძლეს გაეტანათ ბელგიაში სამი ვაგონი კოკსით დატვირთული მიუნხენ—ძლადბახის რკინის გზების ხაზზე.

მატარებლებს შეპყრობა

— რურის ოლქის ზოგიერთ სადგურებში ფრანგების მიერ შეპყრობილია სამგზავრო მატარებლები კერძოთ გერნის და ვანნის ოლქებში.

ლოზანის კონფერენცია

პუანკარე უარს ამბობს ცნობის მიცემაზე.

— პუანკარემ განუცხადა გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, რომ მას არა აქვს განზრახული ამჟამად მისცეს ლოზანის პოლიტიკის განმარტებები.

პალატის სასწრაფო სხდომა.

— პარიზიდან მიღებულ ცნობის თანახმად, დეპუტატთა პალატის გარეშე საქმეთა კომისიაში დანიშნულია სასწრაფო სხდომა. მთავრობის პოლიტიკის შესახებ განმარტებების მიცემაზე პუანკარეს მიერ უარის თქმის გამო.

საერთო ფრონტის ოსმალეთის წინააღმდეგ.

— სმირნის ჟურნალისტებთან საუბარის დროს-მუსტაფა ქემალმა განაცხადა; „ჟინიანობა ანტანტის სახელმწიფოების, რომლებიც ადგენენ მოთხოვნილებებს, რომელიც ფეხქვეშ სთელავდა ჩვენს დამოუკიდებლობას, იწვევს მთელი ქვეყნის გაკვირვებას". შეკითხვაზე ხალხის ხელისუფლების შესაძლებლობის შესახებ ქემალმა სთქვა: „კონსტიტუციის მიხედვით მთელი ხელისუფლება განუსაზღვრელად ეკუთვნის ერს და არავითარ ცვლილებას ამ მხრივ ადგილი არ ექნება".

ა ნ გ ო რ ა

მუსტაფა ქემალი ოსმალო ქალის სწორუფლებიანობის შესახებ.

— მუსტაფა ქემალმა თავის სიტყვებში წამოაყენა ოსმალეთში ქალთა სწორუფლებიანობის აუცილებლობა. სმირნაში ის გამოვიდა მიტინგზე, რომელსაც დაესწრენ ქალები.

ანატოლიის სააგენტოს მოყავს მუსტაფა ქემალის სიტყვები ინგლისელ კორესპონდენტ ქალისადმი:—„ოსმალეთში ქალები ჩამოიხდიან ჩადრებს."

სიმართლე საფრანგეთის შესახებ.

— უკანასკნელ დროს ანგორის პრესამ მიიღო სასტიკი ტონი საფრანგეთის მიმართ. ყველა წერილებში აღნიშნავენ, რომ საფრანგეთი წარმოადგენს არა მარტო ლაქიას ინგლისის არამედ მას ემჩნევა აგრეთვე მტრული განწყობილება განსაკუთრებით საფინანსო საკითხში.

ლაპარაკობენ ტყუილზე, რომელიც ჩაიდინა ფრანკლინ ბუიონმა.

„ენი გიუნი" იგონებს, რომ საფრანგეთი მომხრე იყო ბერძნების ანატოლიაში გაგზავნის. გაზეთი აღნიშნავს საფრანგეთს წინანდებურად სურს ოსმალეთის დასუსტებადა სირიის თავისი მემკვიდრეობითი ქონებით გადაქცევა. ფრანგები ჩვენ უფსკრულისკენ მიგვაქანებენ, მათ საბოლოოდ დაკარგეს პრესტიჟი აღმოსავლეთში.

რუსეთი.

პროტესტი რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

— სარატოვიდან, ცარიცინიდან, ვოლოგდიდან, ფსკოვიდან და უფიდან იუწყებიან, რომ ამ ქალაქებში იმართება საპროტესტო დემონსტრაციები რურის ოკუპაციის წინააღმდეგ. რეზოლუციებში გამოთქმულია წყევა—კრულვა ფრანგ იმპერიალისტების წინააღმდეგ, ზიზღი მე 2-ე ინტერნაციონალის ბელადებისადმი სალამი რურის პროლეტარიატისადმი.

რკინისგზელთა ერთიანი საერთაშორისო კავშირი.

— ანდრეევმა, რომელიც გამოვიდა რკინისგზელთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმზე განაცხადა, რომ არის მოლაპარაკება პროპაგანდის კომიტეტსა და ამსტერდამის ტრანსპორტნიკების გაერთიანების შორის, ერთი საერთაშორისო რკინის გზელთა კავშირის ორგანიზაციის შესახებ.

ფლოტის სასარგებლოთ.

— სევასტოპოლის კომუნისტურ მეურნეობის მუშაკთა კრებამ ერთხმად დაადგინა შესწიროს ნახევარი დღის ქირა წითელი ფლოტის სასარგებლოდ.

სხვა და სხვა ამბები

კომუნისტების დევნა.

— იტალიაში კომუნისტების დევნა გრძელდება. მარტო ერთ რაიონში დაატუსაღეს 227 კომუნისტი. აგრეთვე ბევრი კომუნისტები არიან დაჭერილი ნეაპოლში, ბოლონიაში ბერუჯაში და ვენეციაში.

პუანკარეთი უკმაყოფილო არიან.

— პარიზიდან იტყობინებიან, რომ საგარეო საქმეთა ქვე-კომისიაში ტარდიემ და ბრიანმა პუანკარეს წინააღმდეგ გაილაშქრეს. ხანგრძლივი და ცხარე კამათის შემდეგ კომისიამ დაადგინა მოსთხოვოს პუანკარეს წარმოადგინოს სულ მოკლე ხანში დაწვრილებითი ახსნა-განმარტება რურის ამბების, მემელის საკითხის და ლოზანის თათბირის შესახებ.

ხეირი ვერ ნახეს.

— გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ როგორც ლე-ტროკეს მოხსენებიდან ირკვევა საფრანგეთმა დაპყრობით ჯერ ვერავითარი ხეირი ვერ ნახა.

დიპლომატები დასვენების დროს

გაზ. „პრავდაში“ ამ სათაურით მოთავსებულია პატარა შენიშვნა, ლოიდ ჯორჯის შესახებ.

„წინეთ ის იყო ყველაზე უფრო გონიერი პრემიერი, ყოველგვარ ქვეყნის დამამშვიდებელი თათბირების კეთილი მეგობარი, „ევროპის გაღვიძებული სინდისი“ და სხვა და სხვა. ახლა კი კეთილი მეგობრის წყალობით ის არის უბრალო მისტერ დეივიდ ლოიდ ჯორჯი, რომელიც დარჩა უმუშევრათ და პურს არსებისას ჟურნალისტობით შოულობს.

ლოიდ ჯორჯი, ისე როგორც ყოველი სახელმწიფო კაცი, რომელიც კი დასასვენებლად მიდის—დრენის ხასიათზეა მის ასეთ განწყობილებას ღრმა საფუძველი აქვს.

ის ხომ იძულებულია აღიაროს, რომ—„მთელი ქვეყანა ჰკუაზე შეცდა“.

—„როგორ არის ზავის საქმე? ზავის დაღლილი ანგელოზი ისევ ჰაერში დაფრინავს. ის ვერ ახერხებს მიწაზე დაშვებას, ვინაიდან კიდევ მაღლა დგას წარღვნის წყალი“.

ვინ არის ამაში დამნაშავე? რა თქმა უნდა, ყოველ შემთხვევაში არა ის, ვინც შეადგინა ვერსალის ზავის პირობები და რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ბლოკადის გეგმა.

ჩიჩერინი არის განსახიერება ბოროტებისა, მაგრამ ის იძულებულია აღიაროს აქვე, რომ საბჭოთა მთავრობამ უკვე საკმაოდ შეამცირა თავისი ჯარი და რომ იგი მზათაა შემდეგშიაც შეამციროს იგი:

„აღმოსავლეთში მომხდარ ჯარების შემცირებას რომ მოჰყოლოდა ჯარების შემცირება დასავლეთ ევროპაში, მაშინ ზავის საქმე არც ისე შორს იქნებოდა.

დასავლეთ ევროპა—აი სად არის ძაღლის თავი ჩამარხული. მაგრამ ლოიდ-ჯორჯის აზრით არც იქ გაკეთებულა ცოტა რამ ზავის სასარგებლოთ, მაგ. თუ გინდ იმავე ვაშინგტონის თათბირის შეთანხმებანი, რომლებიც აღნიშნავენ საზავო შეთანხმებათა აზრის გამარჯვებას და, რომლებიც ბრწყინავენ განსაკუთრებული ნათელით.

ამ ბრწყინვალე კონფერენციაზე რუსეთი არ იყო მოწვეული, მიუხედავათ იმისა, რომ იქ მის სასიცოცხლო საკითხებს ეხებოდენ:

„რუსეთი დარჩა კონფერენციის გარეშე სხვა და სხვა მიზეზებით“.

სწერს ლოიდ ჯორჯი. მაგრამ რა იყო ეს განსაკუთრებული მიზეზები, ამის შესახებ მშვიდობიანობის დამამყარებელი სდუმს.

მართლაც მეორე წერილში, რომელიც შეიარაღებას შეეხება, ლოიდ ჯორჯი იძულებულია აღიაროს:

—ომმა ვერაფერი ვერ ასწავლა ევროპას. ამ ჟამად ევროპაში თოფის ქვეშ გაცილებით მეტი ჯარის კაცია დაყენებული, ვიდრე 1913—14 წლებში. ძველი ევროპა აძლევს ძაღლ ომს პურს, რომლითაც მან თავისი ბავშვები უნდა კვებოს.

მართალია, მაგრამ განა ამ სიტყვების მთქმელი არ მოუწოდებდა მოკავშირეთ განეგრძოთ ომი სრულ გამარჯვებამდე? განა ის არ ამტკიცებდა, რომ იმპერიალისტური ომი სწარმოებს ომის წინააღმდეგო.

გერმანიის პროლეტარიატის დროშის ქვეშ·

ბრძანება წითელი არმიისა და ფლოტისადმი.

სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტროცკი წითელი არმიისა და ფლოტისადმი გამოშვებულ ბრძანებაში აღნიშნავს, რომ გერმანიის კომპარტიამ თავის ბოლონდელ ყრილობაზე გადასცა წითელ არმიას საპატივცემლო დროშა—რუსეთის გლეხებისა და მუშების მთელი ქვეყნის მშრომელებთან გაერთიანების სიმბოლოდ.

სამხედრო რევოლიუციონურმა საბჭომ დაადგინა გადასცეს ეს დროშა მე-4-ხე მსროლელ დივიზიის მე-10-ე პოლკს, რომელსაც მთელი არმიის სახელით ევალება მოუაროს და დაიცვას ეს დროშა, დროშა გერმანიის პროლეტარიატთან დაკავშირების სიმბოლო, ისე, როგორც საკუთარი თვალის ჩინი.

აღნიშნული პოლკი მონაწილეობას იღებდა წითელი არმიის მიერ პოლონეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომების დროს 1920 წ. პერიოდში. თავი გამოიჩინა გმირობით მრავალ შეტევების დროს და 1920წ. აგვისტოში ვარშავის მიდამოებიდან უკან დახევის დროს, იძულებული შეიქნა გადასულიყო აღმოსავლეთ პრუსიაში და შეეფარებია თავი გერმანიის ტერიტორიაზე.

სამხედრო რევოლიუციონურმა საბჭომ გადასწყვიტა უწოდოს პოლკს „გერმანიის პროლეტარიატის სახელობის პოლკი“.



მუსიე პუანკარეს
ათრობს ნახშირი რურის..
ამდენ სისხლს სვამს ხვავი და
მაინც ისევე სწყურის.

და ვერ ამჩნევს—უძღები—
მუშის მუშტსა—მაგარსა.
რომელიც ცეცხლის რისხვით
უკვე ერტყმება გარსა.

სადღეისო წერილები

ს. აკაკი წერეთელი.

8 თებერვალს შესრულდა 8 წელიწადი, რაც გარდაიცვალა ჩვენი პოეზიის გენიოსი—აკაკი წერეთელი. დიადია მნიშვნელობა აკაკი წერეთელის ჩვენ მწერლობაში და ორ სტრიქონში ყოვლად შეუძლებელია მისი მრავალ ფეროვან მოღვაწეობის აღნიშვნა.

აკაკის მეტად მძიმე ხანში მოუხდა სამწერლო ასპარეზე მოღვაწეობა. რუსის ჟანდარმერიის, როგორც პოლიტიკურად, აგრეთვე სულიერად ტყვეობაში ყავდა ქართველი ხალხი. ისპობოდა და იდევნებოდა ჩვენი კულტურა ხელოვნება, დედა—ენა და სხ.

ჩვენი მშრომელი ხალხი რუსეთის მშრომელებთან ერთად განიცდიდა საშინელ დევნას.

ფსიქოლოგიური საფუძვლები საბიბლიოთეკო საქმიანობისა·

(ბიბლიოთეკართა სახელმძღვანელოდ).

როგორ უნდა მოეწყოს წიგნიერობის ორგანიზაცია ხალხში.

როგორი წიგნებია ღირსი რეკომენდაციისა?

როგორი წიგნი უნდა იყოს მიღებული სასარგებლო წიგნად და როგორი—მავნებლად?

აი ის კითხვები, რომლებიც უნდა აღელვებდეს ყოველივე ჩვენგანს ვინც კი ჩაუფიქრდება ძირითად საბიბლიოთეკო საკითხს ორგანიზაციისა.

ერთის შეხედვით თითქოს ვიფიქრებთ, რომ ამ საკითხზე შეიძლება მივცეთ საერთო პასუხი, ზოგიერთი ფიქრობს, რომ შეიძლება შეიმუშაო ერთგვარი სია მართლაც მავნებელ და სასარგებლო წიგნებისა, მიუხედავათ იმისა, თუ ვისთვის არის ისინი დანიშნული.

რასაკვირველია ასეთი თვალსაზრისი ყალბია. არ არსებობს უსათუოდ სასარგებლო და უსათუოდ მავნებელი წიგნები. ყოველი წიგნი შეიძლება იყოს მავნებელი ან სასარგებლო იმის მიხედვით, თუ როგორ მკითხველს ჩაუვარდება ის ხელში. ერთი წაიკითხავს მას დიდის ყურადღებით და ინტერესით, ხოლო მეორეს იგივე წიგნი მოჰგვრის ერთგვარ მოწყენილობას. ერთი შესძლებს წიგნის შინაარსით გამოწვეულ აზრების გარკვევას, ხოლო მეორე ვერაფერს გაიგებს, ან და გაიგებს უკუღმართად.

კითხვა ეს რთული პროცესია. მკითხველმა უნდა განიცადოს მთელი რიგი რთული მომენტებისა მანამ, სანამ მის მიერ აღებული წიგნი მოახდენდეს მაზე ამა თუ იმ გავლენას.

და ყოველივე ისიც კი, რასაც მკითხველი ამ დროს განიცდის, დამოკიდებულია მის საკუთარ ფსიქიკაზე, და არა მის მიერ აღებულ წიგნზე.

ეს აზრი რომ უფრო ადვილი გასაგები გავხადოთ, აღვნიშნოთ მთავარი მომენტები წიგნის კითხვის პროცესში.

ამ პროცესში ჩვენ შეგვიძლია განვასხვაოთ ოთხი ძირითადი მომენტი:

1) ათვისება მოცემულ სიტყვათა, 2) ამ სიტყვებთან დაკავშირებულ შინაარსის გაგება, 3) წაკითხულის შეფასება, 4) კითხვით მომხდარ გავლენის შთაბეჭდილება მკითხველის ნებაზე.

გავარჩიოთ თითეული ამ მომენტთაგანი.

1. ათვისება მოცემულ სიტყვათა.

კითხვის ცოდნა ეს ნიშნავს უპირველესად, მიხვდე ის სიტყვები, რომლებიც ანბანებით აღინიშნებიან. ანბანების უბრალოდ რიგზე ჩამოთვლას, თუ ის სიტყვად არ იქნება შეერთებული, არ შეიძლება უწოდოთ კითხვა. კითხვა იწყება მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა კაცი შესძლებს ანბანების საშვალებით წარმოსთქვას, ან მოიგონოს გარკვეული სიტყვა, რომელიც შეესაბამება მოცემულ ანბანთა შეუღლებას. აქ ცხადია, რომ ამ პროცესში ათვისება ანბანების, როგორც გარკვეულ სიტყვათა სიმბოლოებისა, დიდ მონაწილეობას იღებენ არა მარტო მხედველობა, არამედ აგრეთვე მეხსიერება, წარმოდგენა და გონება ადამიანისა. როცა ჩვენ სიტყვებს ვკითხულობთ, უბრალოთ კი არ ვაშენებთ ანბანს ანბანზე, არამედ დავიჭერთ რა ერთს ან რამოდენიმე ანბანს, ერთბაშად მივხვდებით მთელ სიტყვას. თუ რომ მოცემულ წიგნებში ან გაზეთში შემთხვევით გამოჩენილი ან წაშლილი იქნება ერთი ან რამოდენიმე ანბანი, ჩვენ ეს ხშირად სრულიად არ გვაფიქრებს; ჩვენ მაინც თავისუფლად ვკითხულობთ სათანადო სიტყვებს. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ ვავსებთ მოგონებით გამოჩენილ ანბნებს. ამით აიხსნება სხვათა შორის ის, რომ ჩვენ ხშირად კითხვის დროს ვერც კი ვამჩნევთ კორექტურულ შეცდომებს. კითხვის პროცესში მონაწილეობასთან, არა მარტო მხედველობისა (ვიწრო გაგებით), არამედ მეხსიერებისა და წარმოდგენის გარდა დაკავშირებულია აგრეთვე ის საინტერესო ფაქტი, რომ ადამიანი განათლების დაბალ საფეხურზე მდგომი, ადამიანი სუსტი მიხვდენის მქონე—დიდის ვაი-ვაგლახით სწავლობს იმას, რაც კითხვის სწავლის პროცესში იწოდება ხმების მთელ სიტყვად შეერთებად.

უნდა აღვნიშნოთ, როგორც სპეციალური დაკვირვებანი გვიჩვენებს, რომ ცალკე სიტყვათა კითხვის პროცესი სხვა და სხვა ადამიანებს უფრო ეადვილება, რამდენათაც ახლოს არის მაზე წიგნის შინაარსი ე. ი. რამდენად მეტ მუშაობის უნარს გამოიჩენს კითხვის დროს მათი მეხსიერება და წარმოდგენა.

ამ რიგად, უბრალო ცოდნა სიტყვების სწორად კითხვისა დამოკიდებულია მკითხველის მეხსიერებასა და წარმოდგენაზე, ე. ი. მის გამოცდილებაზე და მიხვდენაზე: მის შეძლებაზე მოიგონოს ყოველივე ის, რაც მას უთქვამს ან სხვისაგან გაუგონია. ვისაც კარგი ლაპარაკი არ შეუძლია და არ შეუძლია გაიგოს სიტყვა მას გარშემო მყოფ ადამიანთა, მას არ შეუძლია იყოს კარგი მკითხველი; მას არ შეუძლია სწორეთ აითვისოს ბევრი სიტყვები, ის აურევს და დაამახინჯებს მათ. ცხადია, რომ სხვა და სხვა აზრთა და გრძნობათა გამოსახატავად არსებობს სიტყვის სხვა და სხვა ფორმები. ამ მოსაზრებით, ლაპარაკობენ რა მრავალ გვარ სტილებზე, მრავალგვარ ალნაქვსზე და ენაზე, განასხვავებენ ენას შემდეგ ნაირად: ყოველდღიური ენა, ხმოვანი პოეტური და სხვა იმისათვის რომ ჰფლობდე რომელიმე ამ ფორმათაგანს საჭიროა ერთგვარი დახელოვნება, სპეციალური გამოცდილება. და იმის მიხედვით თუ ამ მხრით რა გამოცდილების მქონეა მკითხველი, მისთვის ხელმისაწვდომი ხდება ათვისება ამა თუ იმ წიგნის სიტყვებისა.

2 შინაარსის გაგება წაკითხულ სიტყვებთან დაკავშირებით.

ყოველ ჩვენს მიერ წაკითხულმა სიტყვამ, შეიძლება გამოიწვიოს ჩვენს შემეცნებაში ესა თუ ის ცვალებადობა, რომლითაც ყალიბდება გაგება ამა თუ იმ სიტყვისა. პირველ შემთხვევაში ჩვენს შემეცნებაში წარმოგვიდგება გარკვეული, ცოტათ თუ ბევრად ნათელი სახე, მეორეში—ლოგიური პროცესი გრძნობის ან სურვილისა, მესამეში—ორივენი ერთად, მეოთხეში—არავითარი სახე, არც სურვილი, არამედ მხოლოდ უბრალო განმეორება ათვისებულ სიტყვათა, ან და, შეიძლება, მეორე სიტყვა, მასთან დაკავშირებული. ასე მაგ., სიტყვა „ტყე“ შეიძლება გამოიწვიოს ჩვენს შემეცნებაში 1) წარმოდგენა მწვანე, შრიალა ხეებისა, მგალობელ ფრინველთა, მტრედის ფერ ცისა, ფისის ან მარწყვის სუნისა, 2) გრძნობა მოსვენების, სიხარულის ან შიშისა, 3) სურვილი ტყეში ყოფნისა, 4) წარმოდგენა იმაზე, რომ „ტყე“ არსებითი სახელია და ის შეიძლება შეუერთოდ რამოდენიმე ზმნებს 5), წარმოდგენა მთელ რიგ სხვა სიტყვათა, რომლებიც შეკავშირებული არიან ასოციაციის მიხედვით სიტყვა „ტყე“სთან: „ტყე—ტყის“, „ტყე—მეტყევე“ „ტყე—ტყიური“ და სხვა. ასეთი ასოციაცია სიტყვათა დამოკიდებულია ადამიანის პირად გამოცდილებაზე. ვინც ტყეში არ ყოფილა, ვისაც არ განუცდია მშვენიერება და სილამაზე ტყისა, ვისაც არ მოუსმენია ჯადოსნური შრიალი მისი, რასაკვირველია ის ვერაფერ სიტყვებს და საგნებს ვერ დაუკავშირებს სიტყვა „ტყე“ს. ამ შემთხვევაში შეიძლება მკითხველს მოაგონდეს ან ტყის სურათი, ან მწვანე ფერი, სიბნელე და სხვა ასეთები, რომლებიც დაკავშირებული არიან ტყის წარმოდგენაზე, ხოლო თვითონ ტყის წარმოდგენა შეუძლებელია. ბევრია ისეთი ადამიანები, რომლებსაც გაუტარებია თავის სიცოცხლე ერთფეროვან გარემოს შორის და ამიტომ მათ არ შეუძლიათ ბევრი სიტყვა დაუკავშირონ საგნებს. ერთს არ უნახავს ქალაქი, მეორეს- სოფელი, მესამეს—ზღვა, მეოთხეს ცხელი ქვეყანა, მეხუთეს—ტყე, მეექვსეს მთა და სხვა და სხვა. და აი, განათლების ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს გაამდიდროს ადამიანის შემეცნება რეალურ წარმოდგენათა მასალით, რომელიც დაეხმარება მას მრავალი სიტყვის მნიშვნელობის გაგებაში.

(შემდეგი იქნება)

სატუსაღოები და კატორღის ციხეები სავსე იყო პოლიტიკურ დამნაშავეებით.

ქართული ინტელიგენცია პესიმიზმით იყო მოწამლული. და მთავრობის წინააღმდეგ არა ერთხელ გამართულს იარაღი, ძირს დაუყრია.

გლოვის ზარი გაისმა საქართველოში. საჭირო იყო გენიოსი, რომელიც თავის მძლავრი და მჭერმეტყველი ენით იმედის სულს ჩაჰბერავდა საქართველოს მშრომელ ხალხს.

და ეს გენიოსი აღმოჩნდა აკაკი წერეთელი.

მან თავის ლამაზ ჩანგით ამღერა მიძინებული ქართული სული და თავის მშვენიერ ენით მალამო დაუდო დასევდიანებულ მშრომელთა გულს.

დღეს მშრომელი ხალხი გამარჯვებულია, იგი განთავისუფლდა მრავალ—საუკუნეების მონობისაგან და იგი ნეტარებით იგონებს თავის ხალხურ პოეზიის გენიოს, საქართველოს მშრომელ ხალხის მოსარჩლეს—აკაკი წერეთელს.

2 სამი მსხვერპლი.

6 თებერვალს თფილისის აეროდრომზე მოხდა საშინელი ტრაგედია.

ფრენის დროს დაიღუპნენ სამი გმირი: სამხედრო მფრინავი სვიმონ (სიკო) ზაქარიას-ძე დავითაშვილი, მოტორზე უფროსი მომუშავენი გიორგი ნიკიტის-ძე კუპუგიანი და კირილე ვასილის-ძე ტაბაკაშვილი.

დღეს, როდესაც ასე გვჭირია სპეცები ყოველ დარგში, აღნიშნულ სამი ამხანაგის დაკარგვა დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს.

რედაქცია გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას ამ სამაგალითო ამხანაგების დაკარგვის გამო, რომელთა გვარები ჩასაწერია საისტორიო წიგნში, სამსახურისთვის თავდადებულ გმირების შორის.

უცხოეთის არმიებში

„დემოკრატიულ" ამერიკის არმია.

ამერიკის გაზ. „ნიუ-იორკ გერალდი" იუწყება, რომ ბასტონში გაასამართლეს მაიორი ნიკოლსონი, რომელსაც ბრალდებად წაუყენეს ის, რომ მან გააკრიტიკა შეერთებული შტატების რეგულიარული არმია.

სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა ნიკოლსონს ამერიკის არმიიდან გამორიცხვა.

სასამართლოს წინაშე ნიკოლსონი ამტკიცებდა, რომ ამერიკის არმიაში ფეხს იდგამს პრუსიული სამხედრო სული. ნიკოლსონმა გამოსცა ბროშიურა, რომელშიაც ის ამტკიცებდა რომ საჭიროა არმიის რეფორმა ან სრულიად მისი გაუქმება.

ახალი ამბები
სამხრევტრიბუნალში

ჩიქოვანის საქმე.

პირველი გასამართლება ქართულ დივიზიასთან არსებულ სამხედრო რევტრიბუნალმა მოახდინა 9 თებერვალს. გასამართლდა 1-ლ ლეგიონის მწყობრის თავი რეზო ჩიქოვანი, რომელსაც ბრალდებოდა საყარაულო პოსტის მიტოვება. სასამართლომ მიუსაჯა 1 წელიწადი და 9 თვე სატუსაღოში დაპატიმრება.

კვიკვიძის საქმე.

ახლო მომავალში ჩვენ რევტრიბუნალში გაირჩევა ქართულ დივიზიის სასურსათო საწყობის ყოფილი გამგის კვიკვიძის, საქმე, რომელსაც ბრალდება ქრთამების აღება, არმიის სურსათ-სანოვაგის გაფლანგვა-მითვისება და სხვა მრავალი ბოროტ-მოქმედებანი.

ცენტრარმკლუბში.

ვინაიდან ცენტრარმკლუბში ირჩევა ცნობილ აფერისტ სმოლსკის საქმე და კლუბის შენობა კინოს გარდა დაკავებულია სამმართველოს მიერ. ამიტომ ჩვეულებრივი მეცადინეობა წითელ-არმიელებთან, სექციების მუშაობა და სხ. დაიწყება სამშაბათ 13 თებერვლიდან.

სიმთვრალის წინააღმდეგ.

მომავალ კვირიდან ქართულ დივიზიის ნაწილებში დაიწყება სიმთვრალის წინააღმდეგ აგიტაცია. ცენტრარმკლუბში მზადდება განსაკუთრებული საღამო სიმთვრალის წინააღმდეგ. წაკითხულ იქნება ლექცია, შემდეგ ინსცენირობკა და სხვა.

წითელ-არმიის ხუთი წლის არსებობის აღსანიშნავად.

23 თებერვალს სრულდება სრული ხუთი წელიწადი, რაც არსებობს საბჭოთა ფედერაციის წითელი არმია. ამ დღისთვის გამოვა „წითელი არმიელის" სადღესასწაულო ნომერი და საიუბილეო ჟურნალიც. მასალები უნდა გამოიგზავნოს რედაქციის სახელზე.

ჩვენ...

(პ. სამსონიძეს).

ჩვენ წინ მივქრივართ: ცეცხლის სიკვდილით,—
ცეცხლის შანდილით ვიმონებთ ჰაერს,
ბრძოლის მშვენიერს შევხვდებით ჟინით—
ცეცხლთან ვამღერებთ თვითონ რაფაელს.

ყრუ საუკუნეს ვგზავნით მშვიდობით.
ამაყი გრძნობით დავტეხეთ ღამე,
და სითამამეს მიტომ უხმობდით;—
რომ გვქონებოდა: ტანჯვა, სიამე.

ცეცხლით ვიმონებთ: დარბაზებს, ხატებს,
სახეს ამშვენებს მხნე გაქანება,
ჩვენი ხსენება ამტვრევს, პლანეტებს
მქრის სამყაროში ცეცხლისა ნება.

საკირეს ვავსებთ დამპალი ძვლებით,
ცეცხლის ხელებით დავქრივართ ყველა,
აღარ გვაქვს ხველა. ღელვას შვებით ვთვრებით
და გზას გვიკაფავს ბრძოლის სიმღერა.

ძველთა ყანყრატოს ავტრუსავთ ცეცხლით
გალესილი ხმლით ტრაპეზს დავამტვრევთ.
ქვეყანას ვჩეხავთ: ჰენებით, ბრძოლით
და მტრების სისხლსა ჰიქებით დავლევთ.

მყრალ ხაიჯრითოს მოვსპობთ დუელით
მომავალს ველით გადამწყვეტ ომში,
ცეცხლის ზარხოში. ნაბიჯი ცხელით
ჩვენ პირველნი ვართ საქართველოში.

ალ. ბერიძე

ჩვენს წითელ ჯარში

„წითელი ფლოტის კვირეული" კოპპ. ჩატარება ჩვენთან.

8 თებერვალს საარტილერიო კლუბში იქნა გამართული საღამო, განსაკუთრებით წითელ-ფლოტის გარშემო. საღამოს დაესწრნენ წით-არ. სამოსწ. ათასეულიდან, საინჟინერო ათასეულიდან, მცველ მხლებელთა ათასეულ. და 1 საბჭ. კოლ. ქარხნის მუშები. ინტერნაციონალის დაკვრით და ამხ. ჭყუასელის სიტყვით გაიხსნა საღამო, შემდეგ მოხსენებები გააკეთეს.—კომკავშირის წარმომადგენელმა ამხ. ცინცაძემ, ამხ. სანაძემ და სხვებმა. შემდეგ იქნა დადგმული ინსცენიროვკა „წითელი ფლოტი", რომელსაც სიამოვნებით უსმენდენ წით. არმიელები. შემდეგ იქმნა მოწყობილი ცოცხალი სურათი, რომლის დროს უკრავდა სამხედრო მუსიკა. დივერტისმენტი შესდგებოდა 3 № განსაკუთრებით წითელ ფლოტზე. ბიბლიოთეკაში ანტრაქტის დროს მიმდინარეობდა საუბარი აკაკი წერეთელის შესახებ. 8 თებერვალს კლუბი და ბიბლიოთეკა იყო მოწყობილი პლაკატებით, სურათებით და ლოზუნგებით. დასასრულს იქმნა გამართული ცეკვა, საღამო დამთავრდა 11 საათზე წით.-არმ. ძლიერ კმაყოფილნი დაიშალნენ.

ლარიბი

მუსიკაც ასეთი უნდა.

მეორე ლეგიონს ყავს მუსიკა 25 კაცისაგან შემდგარი, რომლის ხელმძღვანელად არის ამხ. ვარძელოვი. უნდა ითქვას სიმართლე, რომ ეს მუსიკა ლეგიონისათვის სრულიად გამოუსადეგარია. ლეგიონში ჯერ არავის უნახავს ან წარმოდგენებზე, ცეკვის დროს ან ლეგიონის საერთო კრებაზე, ან სხვა რაიმე შემთხვევების დროს მუსიკანტები მთლიანად მოგროვილნი, არამედ მომრძანდებიან რვა ან ათი და ანგრეულ დანგრეულად აყვირებენ მუსიკას.

რამოდენიმეჯერ ჩემი თვალით მინახავს, რომ მთელი აუდიტორია წ. არმიელების, პოლიტ-და უფშემადგენლობის აღშფოთებულა იმის გამო, რომ ცეკვის დროს მუსიკამ ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება. ნაცვლად იმისა, რომ მუსიკის ხელმძღვანელი ამხ. ვარძელოვი წრთვნიდეს მუსიკანტებს, და ისე შეხმატკბილებულად გამოდიოდნენ წითელ არმიელებში, ის ყოველ დღე იმყოფება ქალაქის ლოტოში, ეტყობა, რომ იქ უფრო გულმოდგინედ ასრულებს სამსახურს. ერთი სიტყვით, მუსიკანტთა ჯგუფი როგორც ასეთი, ლეგიონისთვის სინამდვილეში არ არსებობს. ამის მაგივრად მესაკრავეების მთელი შემადგენლობა ყოველ დღე მიემგზავრება ქალაქის სხვა და სხვა თეატრებში გასაქირავებლად.

საჭიროა მუსიკის ხელმძღვანელმა ამხ. ვარძელოვმა მოიხედოს ცოტა ლეგიონისკენ, სადაც თვით ეს მესაკრავეთა ჯგუფის უზრუნველყოფილია ტანით, ფეხით, სასმელ საჭმელით და თავის დანიშნულება შეასრულებიოს მესაკრავეებს წითელ არმიელების წინაშე.

საჭიროა ვისგანაც ჯერ არს მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და ერთხელ და სამუდამოთ მოაგვაროს ეს საქმე.

ხერხახი.

კულტურულ მუშაობა

ბიბლიოთეკა გამოცოცხლდა.

ჩვენს საგაუბიცო ბატარეის ბიბლიოთეკას გამოცოცხლება დაეტყო. ყველაფერი რიგზეა. გაზეთების რიცხვი გადის რეგისტრაციაში და არც ერთი ნომერი არ იკარგება. წიგნებიც ყველა დანომრილია და თავის რიგზე დაწყობილი. ყოველივე ეს ახალი გამგის ამხანაგ კვირკაძის წყალობითაა. ამის გარდა ბიბლიოთეკას წ.-არმიელები ხალისიანათ ეპყრობიან. ეს კი კარგი შედეგია პოლიტ-განკომის მუშაობისა. ამ ცოტა ხანში მოხდება საავსებით უცოდინართა ლიკვიდაცია და ბატარეა ამ გარემოებას იდღესასწაულებს მომავალ 25 თებერვალს თავის გამარჯვებას კულტურულ ფრონტზე.

ცალკე საგაუბიცო ბატ. პ. გ.
სამხკ. ა. ხანაძე.

ქ. ბათომის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში.

ა. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

ჩვენი კლუბის შენობა იყო ძლიერ დაძველებული, ამიტომ შევუდექით მის შეკეთებას.

მასალები მოგვეცა ცენტრიდან და ერთი თვის შემდეგ კლუბის შენობა მთლად დამთავრებული იქნება.

ბ. დრამსექცია.

ამ ჟამად მუშაობს რუსული დრამსექცია, რომელიც სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს, საღამოებს და სხ. იდგმება რევოლიუციონური პიესები, კლუბის გახსნისთანავე.

განზრახვა გვაქვს მოვაწყოთ აგრეთვე ქართული დრამსექცია, რადგან კურსანტებში თითქმის 50 პროცენტი ქართველია და ქართულ წარმოდგენების დიდი მოთხოვნილებაა.

გ. პოლიტიკური წრე.

ჩვენ კურსანტებში არსებობს აგრეთვე პოლიტიკური წრეც, რომელსაც ხელმძღვანელობს კომისრის თანაშემწე ამხ. ბახტაძე.

იმართება ხშირ-ხშირად საუბრები პოლიტიკურ თემებზე. კურსანტები დიდი ინტერესით ესწრებიან აღნიშნულ საუბრებს და მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ აზრთა გაცვლა გამოცვლაში.

გ. მუსიკალური წრე.

აგრეთვე არსებობს მუსიკალური წრეც კურსანტ აბაგიანის ხელმძღვანელობით, რომელიც ხშირ-ხშირად მართავს ღია კონცერტებს, როგორც მოქალაქეებისათვის, ისე თავიანთ კურსანტებისათვის.

დ. სპორტი.

კარგად მუშაობს სპორტის წრეც ამხ. პოლიაკოვის ხელმძღვანელობით. მეცადინეობა ყოველდღიურია და კურსანტები დიდი ხალისით მეცადინეობენ. ხშირად იმართება სასპორტო შეჯიბრებანი სხვა სამხედრო ნაწილებთან.

ვ. პარტიული მუშაობა.

ჩვენ რიგებშიაც მოხდა პარტიული წმენდა, მაგრამ გამორიცხვით არავინ გამოურიცხავთ.

ყოველ სამშაბათობით იმართება პარტიულ ამხანაგების სხდომები, კითხულობენ მოხსენებებს თანამედროვე მომენტზე, პარტიულ თემებზე და სხ. სხდომებს ესწრობიან ბევრი უპარტიო კურსანტებიც. აღსანიშნავია ის რომ მრავალ კურსანტებს შემოაქვთ განცხადებები კომუჯრედში პარტიაში წევრად ჩარიცხვის შესახებ.

ზ. არჩევნები ქალაქის საბჭოში.

არც ჩვენმა კურსანტებმა უღალატეს კომუნისტებს. არჩევნების დროს ერთხმად მიღებულ იქმნა კომუნისტების სია.

სულ გავიდნენ დეპუტატებათ საზღვაო სასწავლებლის მხრივ 4 ამხანაგი. აქედან 3 კომუნისტი: დონაძე, რამიშვილი, თურქაძე და ერთი უპარტიოც—დოროხოვი.

თ. კურსანტების ცხოვრება.

მართალია წინეთ კურსანტები დიდ გაჭირვებას განიცდიდენ. არ ქონდათ რიგიანი ბინა, არც ტანსაცმელი, სადილი და სხ.

მაგრამ დღეს სასწავლებლის ადმინისტრაციის თავგამოდებულ მუშაობის წყალობით კურსანტებს აღარაფერი აღარ აკლიათ.

ბინაც გამოეცვალათ, ტანთ კარგათ აცვიათ, საჭმელიც ჩინებული აქვთ,

სურსათ-სანოვაგეს აძლევს აჭარის სახალხო სასურსათო კომისარიატი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს სასწავლებელს ამ მხრივ.

ი. შეფობა.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ბედმა შეფებზე გვიმტყუნა.

ჯერ შეფათ გვყავდა აჭარის ცაკი, მაგრამ იმისგან თითქმის არაფერი არ მიგვიღია, შემდეგ შეფობა დიდი ამბით მიიღო თავის თავზე აჭარის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ.

უკანასკნელი ყოველთვიურად გვაძლევს ათ ათ მილიონს. ამით განისაზღვრება მისი დახმარება.

იმედები კი ბევრი გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ გაგვიცრუვდა.

ო. „წითელ ფლოტის" კვირეული

დიდი ამბით ჩატარდა „წითელი ფლოტის" კვირეული. კურსანტებმა თქმა არ უნდა მიიღეს უმთავრესი მონაწილეობა. კვირეულში კომისრის თამჯდომარე ამხ. პალომსკი მართავდა ხშირად საუბრებს და უხსნიდა მომავალ წითელ მეზღვაურებს წითელ ფლოტის მნიშვნელობას.

ქ. უძვირფასესი საჩუქარი.

საზღვაო სასწავლებელმა მიიღო საჩუქრად სევასტოპოლიდან დიდი გემი—მინონოსეცი „ლეტჩიკ" და სამი პატარა ქართული გემი „შევარდენი" „გიორგი" და „თბილისი".

უკანასკნელი მიძღვნილია საქართველოს ცენტრის მიერ.

გემების შეკეთება დაიწყეს, ალმაზებენ საღებავებით. აიარაღებენ და ემზადებიან საზღვაო პრაქტიკულ მეცადინეობისათვის, რომელიც უნდა დაიწყონ გაზაფხულიდან.

კ. პეტროგრადის სასწავლებელს ლ. არ ჩამოუვარდებით.

პეტროგრადის სასწავლებლის პროგრამა მთლიანად ტარდება ჩვენ სასწავლებელში.

მეცადინეობაც იდეალურად არის დაყენებული.

მ. სამაგალითო უფროსი.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ამ დონეზე დაყენების საქმეში დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის სასწავლებლის უფროსს ამხ. ჭავჭავაძეს, რომელმაც მთელი თავისი გამოცდილება და ენერგია მოახმარა მას.

როგორც უფშემადგენლობა, აგრეთვე ყველა კურსანტი მადლიერათ იხსენიებს.

პატივცემულ და მეტად სასარგებლო უფროსს.

ქართ—იმერი.

პატარა ფელეტონი.

(ორი მზვერავი.)

იყო ღამე ბნელი... არსაიდან სინათლე არ შემოდიოდა რედაქციაში... თითი რომ აგედო რედაქტორს ვერ წაიტაკებდი თვალში.

მუშაობაში გართულ თანამშრომლებს მყვინთავდათ „ერთი რამის“ მოლოდინში...

ორი აჩრდილი მიბობლავდნენ რედაქციის მოწინავე ხაზებისკენ და რადგანაც ორივენი ზორბა ტანისანი იყვნენ, ბალახი ვერა მფარავდათ გუშაგის მხედველობიდან... პაპიროსის ნამწვის სინათლეზე სინჯავდენ ქარტას და ეძებდენ „წ. არ.“ რედაქციას, თუ რომელ დეპარტამენტში იყო.

პირ. პატივცემულო გრაფ, როგორაც გვაქვს დავალებული შტაბიდან ისე მოვიქცეთ. ყიყლიყო და დეზებიანი მამალი მოვკლათ და დაშნა დავატყვევოთ, გავიგოთ რა ხდება რედაქციის შტაბში და... რედაქტორი ფეხებიდან ჩამოვკიდოთ..:

მეორე. სუ!.. ბარონ... მოწინავე საგუშაგოზე ვართ... აი გუშაგიც... და მიწას გაეკვრენ ტყირპისავით, მაგრამ გუშაგი უკვე იცინოდა რადგან მიხვდა, თუ ვისზედაც ლაპარაკობდენ მზვერავები—თითონ ეს იყო.

გუშაგი. ვინ არის მანდ?!

ორივენი. (შიშით) ჩჩვვეენნნნ... პატიოსანი ხალხი... ასე, გზა აგვერია, ვაგზალს ვეძებთ, ქუთაისის და ბათომის...

აქ გუშაგს ეჭვი შეეპარა და ასტეხა განგაში... წამოიშალა რედაქციის მიძინებული ლაშქარი და ბლუყა შემოარტყეს უცნობებს კალმის შუბები მელნის სხივებით სხვანაირად ელავდენ ქაღალდის ჩამონაწერზე... უცნობები ეცადნენ გაქცევას, მაგრამ იატაკზე ფეხები გაუსხლტათ და, ბრაგვანი მოსძვრათ ძირს, ასე რომ ძლივს მიიყვანეს შტაბში, სადაც მორიგეობდა პიტერ-ფაშა ხონელბეი, რომელმაც გამოძია მათი ვინაობა და აღმოჩნდა, რომ იყვნენ ჩვენი გაზეთის მოწინააღმდეგე ბანაკის კონტრრაზვედკის აგენტები: ბარონ ფონ-შებუკინი და გრაფ დე—ლალენი... ამდროს გამომეღვიძა და...

ყვინჩილა.

ჩვენი დროის შავი გმირი

სმოლსკის და მისი ამხანაგების საქმე.

5 იანვარს ცენტრარმკლუბში დაიწყო გარჩევა ცნობილ აფერისტ სმოლსკის და მისი ამხანაგების საქმისა, რომელთაც ბრალდებათ ბევრნაირი ბოროტმოქმედების ჩადენა.

სასამართლოს შემადგენლობაში შედიან უზენაეს რევტრიბუნალის თავმჯდომარე ამხ. ვაშაძე, ოკას რევტრიბუნალის თავმჯდომარე კუშნარიუკი, პანკრატოვი ამიერ-კავკასიის ჩეკიდან და სხვა.

სმოლსკიმ დაამთავრა სასულიერო სემინარია, შემდეგ მსახურობდა დიაკვნათ. გერმანიასთან ომის დროს ხვდება მობილიზაციაში და ღებულობს ოფიცრის ჩინს.

საბჭოთა მთავრობის დროს გაწვეულია ჯარში, როგორც წითელი არმიელი, მაგრამ ყალბი საბუთების წყალობით გაიქცა არმიიდან და მიჰყო ხელი სპეკულიაციას.

სმოლსკის ჰქონდა მრავალი ყალბი საბუთები.

კიევში თავი მოჰქონდა, როგორც საველე შტაბის უფროსი, მე-6-ე დივიზიის უფროსი და სხვა.

გადმოსახლდა რა საქართველოში მან გააცნო ყველას თავის თავი როგორც ამხ. სკლიანსკის მდივანი კიევის სამხედრო უწყების უფროსი და სხვა.

სადაც კი მიდიოდა სმოლსკი, ყველგან ღებულობდნენ დიდი პატივით და ღირსებით.

საბჭოთა დაწესებულებები არაფერში არ ეუბნებოდნენ უარს მის მოთხოვნილებებზე, რადგან სმოლსკისთვის უარის თქმას სთვლიდნენ რევოლიუციის უდიდეს ღალატათ.

სმოლსკის განკარგულებაში იყო ავტომობილები, მის ყალბ ბლანკებს სამხედრო სტამბა ბეჭდავდა რიგს გარეშე და სხვა.

ვინ გაუბედავდა უარის თქმას?

მისი სამსაქნიანი მანდატები თვალებს უბნელებდნენ ყველას.

მან დაარსა ფიქტიური საბჭოთა დაწესებულება 140 მოსამსახურეთა შტატით და მიიღო მათ სახელზე 5000 ფუთი თეთრი ფქვილი და სხ.

და ვინ ჩამოსთვლის იმ ბოროტმოქმედებებს, რომელიც ჩაიდინა ამ შავმა გმირმა.

მარტო საბრალმდებელო ოქმი დაწერილია 45 ფურცელზე.

ამას წინეთ სმოლსკი, როგორც იქმნა დაატუსაღეს და ჩააძძნეს ჩეკაში.

მაგრამ არც იქ მოისვენა სმოლსკიმ, შეამტვრია კედელი და განიზრახა გაქცევა, მაგრამ დროზე გაუგეს და დაიჭირეს.

სმოლსკი იმართლებს თავს, რომ ახალგაზრდა ცოლი მყავდა და ძლიერ მიყვარდაო, რომ მას არ გაჭირვებოდა და უზნეო არ გამხდარიყო, გავბედე ეს ნაბიჯები გადამედგა.

სმოლსკის დამნაშავე სკამს უმშვენებენ გვერდით მისი თანამონაწილენი: კოჩკუროვი, ერისთავი და სხვა.

სმოლსკის იცავს ნაფიცი ვექილი შალვა ალექსი მესხიშვილი.

სმოლსკის მოელის სიკვდილით დასჯის განაჩენი.



ტანკების მოგერიება.

ტანკების იერიშის წარმატებით მოგერიებისათვის საჭიროა, რომ ფეხოსან ჯარს ჰქონდეს მაგარი ნერვები და სიკაცე. თვით ტანკებზედ თავდასხმა და მათი მავნებლობის მოსპობა მოწინავე ხაზის მომგერიებელ ფეხოსან ჯარისათვის მუდამ შესაძლო იქნება, მხოლოდ განსაკუთრებულ ზომამდე- ფეხოსანი ჯარი შეეცდება, რამდენადაც გარემოებანი ხელს შეუწყობენ ადგილ ადგილ დაიცვას თავისი თავი ტანკების ხაფანგებით (ღრმა ამოთხრილი, განიადაგებული ორმოები, რადგანაც შიგ ჩავარდნილი ტანკი ვერ ამოფორთხდება) და ტანკების ნაღმებით; მხოლოდ, ამ ფეხოსან ჯარის მოვალეობას შეადგენს—შეფერხება და მოქმედება იმ ფეხოსან ჯარის წინააღმდეგ, რომელიც ტანკებს უკან მისდევს, ან მათ შუა წინ მიიწევს;

ამიტომაც მომგერიებელმა ფეხოსანმა ჯარმა ტანკები ჯერ უნდა თავის ხაზზედ გადაუშვას, გადგება რა განზედ, რისთვისაც მან არასდროს არ უნდა იბრძოლოს მიტრიალი ხაზით. ის უნდა ჯგუფებათ იყოს დაყოფილი, რათა მისცეს გზა მოწინააღმდეგის ტანკებს და თითონ კი უნდა მონახოს საბურავი ადგილზედ ან და საიერიშო პოზიციაში. მოწინააღმდეგის ცეცხლის ტალღა მან უნდა აგრეთვე აუცილებლივ გადაატაროს თავის თავზედ. მომგერიებლის ფეხოსანი ჯარი უნდა განწერვებული იყოს აგრეთვე სიღრმეშიც, რათა დაუყონებლივ მოაქციოს სროლის ქვეშ ტანკებიდან გადმოსხმული ფეხოსანი და ტყვიამფრქვეველი მეომარნი, და შეძლებისამებრ უნდა იგინი მოსპოს, სანამ მათ, ჯერ კიდევ არ ექნებათ საშუალება ვნების მიყენებისა და არევ დარევის შეტანისა. უკანა ჯგუფებს აქვთ თავიანთი მოვალეობა: იგინი ერთდროულად იცავენ როგორც მოძრავ ისე უძრავ ტანკის მოწინააღმდეგე ქვემეხებს და სუბუქ ნაღმფრქვევებს, რითაც იძლევიან შეძლებას, სრულიად უხიფათო პირობებში, საკუთარი ცეცხლით მიდენილი ტანკები განჰგმირონ ან და აიძულონ ტანკები უკან დაბრუნდნენ. ცხენოსანი ჯარი, რომელიც ტანკებს მიჰყვება, ძალიან ადვილად შეიძლება უვნო გახდეს.

ამ გვარად ჩვენ აქაც ვხვდებით ფეხოსან ჯარის ჯგუფებიან ბრძოლას-არტილერიის და ნაღმფრქვევებთან ერთად ეერთებულ ძალას. მომავალში საჭირო იქნება ჯარის სამი დარგისაგან შემდგარი დამოუკიდებელი მცირე ჯგუფების მოთავსება მიტრიალ მოსაგერიებელ პოზიციებზედ—ეგრედ წოდებულ ტანკების ფორტებზედ და ისინი დაუძლეველ წინააღმდეგობას გაუწევენ ტანკებს. ხშირად საჭირო იქნება მოძრავ ტანკის მოწინააღმდეგე ქვემეხის მომზადება მოგერიებისათვის. თუ ამას გარდა ტანკების უკან მიმდევნი მოწინააღმდეგის ფეხოსანი ჯარის შეჩერება მოხერხდება მსროლელთა და ტყვიამფრქვევთა ჯგუფების მიერ, რომელნიც ტანკებს თავის გვერდზედ გაუშვებენ და ამით ტანკებს მტრის ფეხოსან ჯარის დახმარებას მოაკლებენ, მაშინ არტილერიის მიერ კარგად მომზადებულ კონტრ-იერიშისათვის კარგი პირობა შეიქმნება წარმატების გასავითარებლად.

უმთავრესათ ფეხოსანმა ჯარმა თავის თავი ზნეობრივად არ უნდა შეაქორტმანოს რათა ტანკის მოწინააღმდეგე ქვემეხები მართებულად იყოს განაწილებული და მთელი მდებარეობა ზედმიწევნით იქნეს მომზადებული ტანკების მოსაგერიებლად.

გ. ბ.

ცოტა რამ ყველაფერზე

უდიდესი ტელესკოპი.

ამერიკაში მოაწყვეს ქვეყნიერებაზე არსებულ ყველა ტელესკოპებზე უდიდესი ტელესკოპი (ცის მნათობების მოძრაობის დასათვალიერებლად მოწყობილი საჭვრეტი მილი) ამ ტელესკოპის მილის სიგრძე უდრის 18 საჟ. ტელესკოპი აახლოვებს ცის მნათობებს 5,000 ჯერ, ასე რომ მთვარე 380,000 ვერსით დაცილების მაგივრად გეჩვენებათ 76 ვერსზე, ისე ახლო მანძილზე მოყავს იგი.

რევოლიუციის ბელადთა წიგნების გამოცემა.

ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოვიდა ლენინის და ტროცკის თხზულებანი და აგრეთვე „კომუნიზმის ანბანი“ პრეობრაჟენსკის და ბუხარინის, რომელიც ამ უკანასკნელ დროს გადაიქცა აუცილებელ საგნათ არა მარტო რუსი, არამედ ინგლისელ პროლეტარისთვისაც.

ავტომობილები ამერიკაში.

ამერიკაში მზადდება ყოველ წლიურად 3 მილიონი მანქანა. ეს შეადგენს 8,240 ავტომობილს ყოველ დღიურად.

ამერიკულ ყველა საავტომობილო ფირმებზე უფრო მსხვილი ფირმა „ფორდი“ ამზადებს ყოველდღიურად 4,300 ავტომობილს.

ხელოვნური ოქრო.

შვეციის ორმა ინჟინერმა გამოიგონეს ალუმინთან-სპილენძის შეერთების სახე, რომლის შემადგენლობაში არი 90 პროც. სპილენძი.

ასეთი წესით მიღებულ ლითონის სახეს აქვს ყვითელი ფერი და ოქროს ბრწყინვალება. ამასთან იგი არ იჟანგება, მხოლოდ მოქმედობს მასზე სხვა და სხვა სიმჟავეები. ახლად მიღებული ლითონი თავისი სიმაგრით არ ჩამოუვარდება ფოლადს.

ელექტრო ენერგიის გამოყენება.

ამ უკანასკნელ ხანებში ინგლისში ხმარებაში შემოვიდა პატარა ელექტრონის მანქანები სხვა და სხვა საოჯახო მუშაობის შესასრულებლად, როგორც მაგალითად: მანქანები სარეცხის გარეცხვისათვის, საკერავ მანქანების მამოძრავებელი, ფეხსაცმელების გამწმენდი, ჭურჭლის გასარეცხი, ნესტიან სადგომების გამომშრალებელი და მრავალი სხვა. განზრახულია სახლებში დიდი ზომის ცენტრალურ მანქანის დადგმა, რომელსაც შეუერთდება სხვა და სხვა წვრილი აპარატები.

არსებობს პროექტი იატაკის მომრეცხი აპარატების მოწყობისათვის.

„წითელი სასიმღერო კრებული“

წითელ არმიის ხუთი წლის თავზე მ. ვ. ო. პოლიტიკური სამმართველო უშვებს „წითელ სასიმღერო ლექსთა კრებულს“ რომელშიდაც იქნება მოთავსებული ის ლექსები რომლებიც გავრცელებულია სამხედრო ნაწილებში,

ყავარჯენი ხმარებაში მიდის.

ლონდონში რკ. გზის სადგურზე იმ დროს, როდესაც ინგლისის მეფე მიბრძანდებოდა სასახლეში, ხალხში შეუმჩნევლად მდგარმა დასახიჩრებულმა ჯარის კაცმა მას ყავარჯენი მოუქნია მოკვლის მიზნით. მაგრამ მიზანს ასცდა და იქვე მდგარმა პოლიციელებმა ჯარის კაცი დაატუსაღეს.

ბოლგარეთში მოახდინეს თავდასხმა, მთავრობის თავმჯდომარე სტამბულისკზე, მაგრამ უშედეგოდ.

გერმანიაში უმუშევართა რიცხვი იზრდება, უკანასკნელ ხანებში აღწევს 254000-დე.

გავაიის და ალეუტის კუნძულებზე (წყნარი ოკეანე) უძლიერესი ულკანიური მოქმედებაა.

მეცნიერების ახალი აღმოჩენა ტეხნიკაში.

საზღვარ გარეთ რადიო ტეხნიკის განვითარება უდიდეს მიღწევებამდის მიდის. რადიოს საშვალებით ლაპარაკის წარმოება ისეთი ადვილი შეიქმნა, როგორც ტელეფონზე (ელსმენზე). რადიოს მიმღები აპარატები კეთდება სრულიად უბრალო, მარტივი კონსტრუქციით. ახალი აპარატების საშვალებით შესაძლებელია ერთმანეთთან ისე ლაპარაკი, როგორც ჩვეულებრივ ტელეფონზე.



დაღუპულთ ხსოვნას.

6 თებერვალს ფრენის დროს დაიღუპნენ სამხედრო მფრინავი: სიკო დავითაშვილი, და მოტ. გიორგი კუირუგანი და კირილე ტაბაკაშვილი.“

„წ.-არ“ № 211

მოვალეობისა დროს
დაიღუპნენ მფრინავნი...
და დაიმსხვრა მანქანა
ჰაერმკვეთი, უშინავი.

და უშიშარ გმირების
ბედმა დაიკვნესა;

და სამი კუბო მიაქვთ
ამხანაგებს დღესა.

ხელი საპატივცემულოთ!..
სმენა! ქუდები მაღლა
სალამი წითელ მხედრებს!—
რომელთაც ვმარხავთ ახლა.

დაშნა.

წ. დ. ს. ც.

ტირაჟი 1500.

პასუხისმგებელი რედაქტორი პ ქუთათელაძე